20/03/2020

ბათუმის ქუჩებში სასულიერო პირები და მართლმადიდებელი მრევლი მსვლელობას აწყობენ

ბათუმის ქუჩებში სასულიერო პირები და მართლმადიდებელი მრევლი მსვლელობას აწყობენ. მათი განცხადებით, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის და ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა- კურთხევით, სასულიერო პირები ქუჩებს აკურთხებენ და თანამოქალაქეებს ლოცვისკენ მოუწოდებენ.

სასულიერო პირები იმედოვნებენ, რომ ლოცვითა და რწმენით ქართველი ერი განსაცდელს დაძლევს.

მსვლელობა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო. ქუჩების კურთხევა როგორც ბათუმში, ასევე ქობულეთსა და ხელვაჩაურში შესრულდება.

— ipn.ge